საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL

N 10139-02
10/12/2020

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ***ლევან ონიანს***

ბატონო ლევან,

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ ვარიანტს.

პატივისცემით,

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 00 97
E-mail: rustavi.municipality@rustavi.gov.ge Web: www.rusatvi.gov.ge
20 kostava ave, Rustavi, Georgia, 3700. Tel: (+995 341) 22 00 97

# განმარტებითი ბარათი
# დადგენილების პროექტზე
# „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

*ზოგადი მიმოხილვა*

2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა გლობალური მასშტაბით ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. 2020 წლის პანდემიის პირველი ტალღის (მარტი-ივნისი) დასრულების შემდგომ საქართველოს მთავრობის მიერ მოხდა საპროგნოზო მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების გადახედვა/გადასინჯვა და სწორედ მასზე დაყრდნობით „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად დაზუსტდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით დადგენილი მისაღები შემოსავლების პარამეტრები, როგორც 2020 წლის განმავლობაში, ასევე 2021-2024 წლების პროგნოზებში.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით და გაანალიზებით განხორციელდა საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტში, რომლის თანახმად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი წარმოადგენს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებულ, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

2021 წლის რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი და მიმდინარე წლის საშემოსავლო ნაწილის არსებული ტენდენციები.

*ძირითადი საპროგნოზო მაჩვენებლები*

**შემოსულობების პროგნოზი**

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის **შემოსულობების** ჯამური მაჩვენებელი განისაზღვრება 50 119,9 ათ. ლარის ოდენობით. მათ შორის:

- **შემოსავლები** - 48 719,9 ათასი ლარი;

- **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 40 559,2 ათას ლარს, მათ შორის:
  - ✓ **ქონების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 11 800.0 ათასი ლარით;
  - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 28 759,2 ათასი ლარის ოდენობით;
- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 4 169,9 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ✓ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მისაღები შემოსავლები შეადგენს 500.0 ათას ლარს.
  - ✓ რეგიონების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მისაღები გრანტები შეადგენს 3 669,9 ათას ლარს.
- **სხვა შემოსავლების** პროგნოზი განისაზღვრება 3 990,8 ათასი ლარის ოდენობით.

- **არაფინანსური აქტივების კლების** (აქტივების გასხვისება) სახით მისაღები თანხების პროგნოზი განისაზღვრება 1 400.0 ათას ლარით.

- **საპროგნოზო ნაშთი** ოდენობა 483,3 ათასი ლარით განისაზღვრა.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსულობები და სავარაუდო ნაშთი, სულ ჯამში შეადგენს 50 603,2 ათ. ლარს.

**ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)**

2021 წლის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია საბიუჯეტო ორგანიზაციების პროგრამების უმეტესობის დაფინანსება 2020 წელს ბიუჯეტის შემცირებამდე არსებულ დონეზე, ასევე დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, ახალი სოციალური პროგრამების დაფინანსება და ზოგიერთი პროგრამის დაფინანსების ზრდა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საერთო ასიგნება გადანაწილდა შემდეგნაირად:

- <u>ხარჯები</u> - 42 855,9 ათ. ლარი, მათ შორის
  - **შრომის ანაზღაურება** - 17 316,4 ათ. ლარით განისაზღვრა მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასის ფონდი.
  - **საქონელი და მომსახურება** - 14 738,7 ათ ლარი. მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომლებზე; ოფისის ხარჯებში გათვალისწინებულია თვითმმართველობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა სახის ხარჯი; წარმომადგენლობით ხარჯებში დაგეგმილია წლის მანძილზე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება, სხვადასხვა სახის საჩუქრებისა და სუვენირების შეძენა-დამზადება; ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გათვლილია თვითმმართველობისა და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ბალანსზე რიცხული

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილებისთვის; ასევე საწვავ-საპოხი მასალების შეძენა; დაგეგმილია სახელშეკრულებო წესით შესასრულებელი სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა.

- **პროცენტი** - 400,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის პროცენტის დასაფარად.
- **სუბსიდიები** - 3 820,0 ათ. ლარით თვითმმართველობა სუბსიდირებას უწევს ავტოტრანსპორტის საწარმოსა და სპორტულ კლუბებს (რაგბი და კალათბურთი).
- **გრანტები** - 4,5 ათ. ლარი გათვალისწინებულია ენერგო ქალაქების საწევროს დასაფინანსებლად.
- **სოციალური უზრუნველყოფა** - 3 574,6 ათ. ლარი განკუთვნილია ქალაქის სოციალურად დაუცველი ფენების მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის შეღავათებზე; წყლის გადასახადზე; იმუშავებს უფასო კვების პროგრამა; გათვალისწინებულია მოსახლეობის შეღავათები მედიკამენტებზე, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა და სხვა.
- **სხვა ხარჯები** - 3 001,7 ათ. ლარი გამიზნულია თვითმმართველობის ავტოპარკის დაზღვევისათვის; ასევე მოიცავს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციას; ამასთანავე ფინანსდება ამხანაგობების ხელშეწყობის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსებში კეთილმოწყობის სამუშაოები.

- <u>არაფინანსური აქტივები</u> - 7 497,3 ათ. ლარი გაგრძელდება ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტები და შესყიდულ იქნება ა(ა)იპ-ების მიერ ინვენტარი/ტექნიკა, რაც მათი სამუშაო პროცესისათვის არის საჭირო.

- <u>ვალდებულებები</u> - 250,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის ძირი თანხის დასაფარად.

*შენიშვნა: მერის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 350,0 ათ. ლარით.*

*პროგრამების განმახორციელებლების მიხედვით გათვალისწინებულია:*

**ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ასიგნებები** განისაზღვრა 7 428,9 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დასაწყისისათვის გაიზრდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის გათვალისწინებით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ღონისძიებები** - 877,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
  - ქალაქ რუსთავში ამირან ფანცულაიას ქუჩაზე (მე-18 მკრ) ტროტუარის მოწყობა - 37,4 ათასი ლარი;

- მე-18 ბაღის წინ ჩიკაგოს სკვერის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა - 29,5 ათასი ლარი;
- ქალაქ რუსთავში მე-12 და მე-16 მკრ შორის არსებულ ქუჩაზე პარგინგების, ტროტუარებისა და გაზონების მოწყობა - 449,7 ათასი ლარი;
- ქალაქ რუსთავში მე-19 მკრ-ში N11-თან ტერიტორიის, ტროტუარისა და გზის მოწყობის სამუშაოები - 105,3 ათასი ლარი
- ქალაქ რუსთავში შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული ტროტუარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობა - 23,4 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 469,9 ათას ლარს შეადგენს).
- 9 ძმა ხერხეულიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვისა და შევჩენკოს ქუჩების გზის, ტროტუარებისა და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია - 119,2 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 2 384,0 ათას ლარს შეადგენს).
- რჩეულიშვილის შიდა კვარტალური გზები (რჩეულიშვილის 2, 4, 6, 2ა, 4ა და 6ა, ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1, 3, 5, 7, 5ა, ტოლსტოის ქუჩის მიმდაებარეს 1, 3, 5, 7 და ბერიტაშვილის ქუჩის მიმდებარედ 2, 4, 6, 8, 6ა) – 61,3 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 1 225,0 ათას ლარს შეადგენს).
- ქალაქ რუსთავში რჩეულიშვილის ქუჩის მიმდებარედ N 8, 8ა, 10, 10ა, 10ბ, 12, 14 საცხოვრებელ ბინებთან ასფალტის საფარისა და ტროტუარის მოწყობა - 25,4 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 508,0 ათას ლარს შეადგენს).
- გონაშვილის და დოლიძის ქუჩის მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწყობა - 26,7 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 534,0 ათას ლარს შეადგენს).

➢ **გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების ღონისძიებები** - 452,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ქალაქში არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის ორმოული დამუშავების ფარგლებში დაიხარჯება - 437,9 ათასი ლარი.
- არსებობის შემთხვევაში, სტიქიის შედეგების აღმოფხვრისათვის (ძირითადად გზის გაწმენდა ნიაღვრის შედეგად მოტანილი შლამისაგან) საჭირო ტექნიკით მომსახურების ღონისძიება - 15,0 ათასი ლარი.

➢ **საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 66,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:

- ქალაქ რუსთავში ჯავახიშვილის ქუჩა N1-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერება - 23,7 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 473,2 ათას ლარს შეადგენს).

- ქალაქ რუსთავში ნესტორ გიორგაძის N2-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერება - 16,2 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 323,3 ათას ლარს შეადგენს).
- მე-11 მკრ N1 გამაგრება-გაძლიერება - 6,1 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 122,0 ათას ლარს შეადგენს).
- ახალი ობიექტების ქსელთან მიერთების ხარჯები - 20,3 ათასი ლარი.

➢ **სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 50,2 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **შენობების ფასადების რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 118,3 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია (რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 2 364,1 ათას ლარს შეადგენს) ქალაქ რუსთავში შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია.

➢ **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 4 117,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:

- მე-19 მკრ-ს 9 ნომერი ბინის უკან მოსასვენებელი სკვერი - 30,0 ათასი ლარი.
- 21 მიკრორაიონის 11 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 50,0 ათასი ლარი.
- შარტავას N7 წინ შემეცნებითი ფანჩატური - 30,0 ათასი ლარი.
- რუსთაველის ქ.N24 კორპუსის მიმდებარედ დასასვენებელი სკვერის მოწყობა - 50,0 ათასი ლარი.
- 21-ე მკრ-ში 21-ე კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 350,0 ათასი ლარი.
- ქ. რუსთავში თეატრის უკან მდებარე სკვერის რეაბილიტაცია - 1 573,6 ათასი ლარი.
- ქ. რუსთავში ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 1 554,5 ათასი ლარი.
- ქ. რუსთავში ჟ. შარტავას გამზირზე N12 ბინის მიმდებარედ (მე-8 მკრ) ლიტერატურული სკვერის, მესხიშვილი პირველი გასასვლელის N7-ის მიმდებარედ სკვერისა და ლეონიძის N28-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 95,8 ათასი ლარი.
- მე-14 მკრ N 44, 45, 46, 47, 48 კორპუსებთან მწვანე ავტოსადგომი - 70,0 ათასი ლარი.

➢ **საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენისათვის** გათვალისწინებულია 317,1 ათასი ლარი.

➢ **საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზის მომსახურებისათვის** გათვალისწინებულია - 488,0 ათასი ლარი.

➢ **სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის ღონისძიებები** - 60,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:

- N22 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 15,7 ათასი ლარი.

- N23 და N33 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - 13,8 ათასი ლარი.
- N11 და N27 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - 16,1 ათასი ლარი.
- N36 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 14,5 ათასი ლარი.

➢ **სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ღონისძიებები** - 475,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:

- 16 მკრ-ის მე-7 ბინასთან მინი საფეხბურთო-საკალათბურთო მოედნის მოწყობა - 70,0 ათასი ლარი.
- 12 მ/რ N35 ბინასთან ბავშვთა გასართობი კუთხის მოწყობა - 40,0 ათასი ლარი.
- თოდრიას კორპ. N3-ის მიმდებარე სტადიონის გვერდით ტრენაჟორების მოედანი - 35,0 ათასი ლარი.
- მეგობრობის მე-2 გასას. N3 კორპუსთან სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია - 50,0 ათასი ლარი.
- ახმეტელის N4-თან საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - 40,0 ათასი ლარი.
- ქ. რუსთავში მეგობრობის N47 მ/ტ მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები - 7,5 ათასი ლარი.
- მე-4 მუსიკალურთან სტადიონის რეაბილიტაცია - 70,0 ათასი ლარი.
- საბავშვო-გასართობი კუთხეების რეაბილიტაცია - 163,0 ათასი ლარი.

➢ **კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ღონისძიებები** - 405,2 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ქ. რუსთავში ჭავჭავაძის ქუჩა N4-ში მდებარე მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია.

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ასიგნებები** განისაზღვრა 3 900,2 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

➢ **სტუდენტთა სწავლის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 200,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 530,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 231,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 39,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 482,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **სარიტუალო მომსახურებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 10,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - ვეტერანების სარიტუალო მომსახურება - 6,0 ათასი ლარი.
    - მარტოხელა სოც. დაუცველთა სარიტუალო მომსახურება - 4,0 ათასი ლარი.
- **შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 56,4 ათასი ლარის ოდენობით.

- **შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 400,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - სოც. დაუცველ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 170,0 ათასი ლარი.
    - ვეტერანთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 25,0 ათასი ლარი.
    - სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 100,0 ათასი ლარი.
    - შშმ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 5,0 ათასი ლარი.
    - სტუდენტთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 100,0 ათასი ლარი.
- **ინდივიდუალური დახმარებების** პროგრამების ასიგნება განისაზღვრა 39,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - ომის ვეტერანთა კომუნალური მომსახურების დაფარვა - 32,5 ათასი ლარი.
    - რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა - 7,0 ათასი ლარი.
- **უხუცეს მოქალაქეთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 3,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 390,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 28,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 13,0 ათასი ლარი.
    - საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 15,8 ათასი ლარი.
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 86,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა (კომუნალურის დაფინანსება) - 78,6 ათასი ლარი.
    - მკვეთრად შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი - 7,4 ათასი ლარი.
- **სტუდენტთა სოციალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 100,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სოციალური დახმარებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 75,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 5,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **დიალიზით დაავადებულთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 57,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 17,5 ათასი ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ **„ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ასიგნება** განისაზღვრა 10 200,0 ათასი ლარით, სადაც გათვალისწიებულია სკოლამდელი აღზრდის ხელშესყობისათვის საჭირო ღონისძიებების (უფასო სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული სკოლამდელი ასაკის ყველა აღსაზრდელი) დაფინანსება.

ა(ა)იპ **„რუსთავსერვის ცენტრის“ ასიგნება** განისაზღვრა 8 100,0 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 251,5 ათასი ლარით.
- **სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 277,8 ათასი ლარით.

- **გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 238,8 ათასი ლარით.

- **საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 637,8 ათასი ლარით.

- **სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 50,0 ათასი ლარით.

- **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 3 525,9 ათასი ლარით.

- **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 291,8 ათასი ლარით.

- **უპატრონო ცხოველების ოპერირება** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 173,4 ათასი ლარით.

- **რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 653,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ **„ქალაქ რუსთავის სახელოვნებო სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ ასიგნება** განისაზღვრა 3 470,0 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **სპორტული ღონისძიებების დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 829,0 ათასი ლარით.

- **სახელოვნებო განათლების დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 173,0 ათასი ლარით.

- **კულტურული ღონისძიებების განხორციელება** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 564,0 ათასი ლარით.

- **ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 168,0 ათასი ლარით.

- **სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 736,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ **„რუსთავის კორპუსის“ ასიგნება** განისაზღვრა 2 703,9 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 528,0 ათასი ლარით.

- **მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაციის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 200,0 ათასი ლარით.
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 467,9 ათასი ლარით.
- **რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 508,0 ათასი ლარით.

**შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს" ასიგნება** განისაზღვრა 2 100,0 ათასი ლარით, სადაც გათვალისწიებულია ახალი 40 ერთეული ავტობუსის ექსპლუატაციისა და ქალაქის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

**ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს" ასიგნება** განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით.

**ა(ა)იპ "რუსთავის მუნიციპალური არქივი" ასიგნება** განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით.

**ა(ა)იპ "რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლის" ასიგნება** განისაზღვრა 430,0 ათასი ლარით, სადაც 50 ბენეფიციარი მიიღებს შესაბამის მომსახურებას.

**ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის" ასიგნება** განისაზღვრა 330,4 ათასი ლარით, რომელიც ჩართულია ახალი კორონავირუსის პანდემიის მართვაში და გათვალისწინებულ იქნე დამატებითი კადრების აყვანისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.

**ა(ა)იპ "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის" ასიგნება** განისაზღვრა 525,4 ათასი ლარით.

**ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის" ასიგნება** განისაზღვრა 284,5 ათასი ლარით.

**ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება – ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა" ასიგნება** განისაზღვრა 412,8 ათასი ლარით, სადაც დამატებით გათვალისწინებულ იქნა რუსთავში მცხოვრები მწერლებისათვის ღონისძიებებისს გამართვის ხარჯები და ბიბლიოთეკართა ხელფასების მატება.

**ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის" ასიგნება** განისაზღვრა 874,9 ათასი ლარით, სადაც დამატებით გათვალისწინებულია ხელფასების ნაწილში 100 ლარიანი მატება.

ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარების“ ასიგნება განისაზღვრა 510,0 ათასი ლარით.

შპს საკალათბურთო კლუბი - “რუსთავი 1991” ასიგნება განისაზღვრა 1 200,0 ათასი ლარით.

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 7 572,2 ათასი ლარი, საიდანაც ვალების მომსახურება შეადგენს 400,0 ათას ლარს.
- თავდაცვა - 300,0 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 3 682,3 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 5 921,9 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 9 737,8 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 1 280,4 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 7 692,9 ათასი ლარი;
- განათლება - 10 985,5 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 3 180,2 ათასი ლარი.

**ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:**

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისათვის;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- 2021 წლის ბიუჯეტის იურიდიულის პირების დანართი;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რეკომენდაციების მატრიცა.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმარებისა
და სახაზინო განყოფილები სმეორე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი
**რამაზ ხარშილაძე**

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
ხელმძღვანელი
**ლევან კვეთრაშვილი**